ცნობა

ლევან დავითაშვილი დაიბადა 1978 წლის 10 დეკემბერს;

1999 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატი, 2001 წელს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მართვის მაგისტრატურა, 2003 წელს – მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის მაგისტრატურა;

1997 წლიდან 1999 წლამდე მუშაობდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში სადაზღვევო რეგულაციებისა და სტანდარტების დეპარტამენტის უფროსად;

1999 წლის სექტემბერში იყო შემოსავლების სამინისტროს სოციალური გადასახადების დეპარტამენტი უფროსი;

1999-2001 წლებში – მსოფლიო ბანკის საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მართვის დახმარების ცენტრის (CERMA) მთავარი ბიზნეს-კონსულტანტი;

2002 წლიდან 2007 წლამდე – შპს „წინანდლის ძველი მარნის“ გენერალური მენეჯერი;

2007 წლის თებერვლიდან 2009 წლის დეკემბრამდე – ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სოფლის მეურნეობის პროექტის მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

2009-2012 წლებში იყო შპს „შუხმან ვაინს ჯორჯიას“ გაყიდვებისა და მარკეტინგის დირექტორი;

2010-2011 წლებში – საქართველოს ღვინის მწარმოებელთა კავშირის გამგეობის წევრი, გამგეობის თავმჯდომარე;

2012 წლის დეკემბრიდან 2014 წლის ნოემბრამდე – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე;

2014 წლის 5 ნოემბრიდან 2016 წლის 9 სექტემბრამდე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე;

2016 წლის 9 სექტემბრდან 2017 წლის 15 დეკემბრამდე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი;

2017 წლის 15 დეკემბერს დაინიშნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრად.

ფლობს ინგლისურ, იტალიურ და რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.